

ქ.თბილისი

2018 წლის 26 სექტემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2018 წლის 26 სექტემბერს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ლაშა თავართქილაძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის განცხადება, მატჩის მეთვალყურის გ. ჭიჭინაძის ოქმი და მატჩის მთავარი მსაჯის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ამა წლის 22 სექტემბერს, დიდი 10-ს მატჩზე, ქუთაისის „აია“-სა და რუსთავის „ხარებს“ შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. სადისციპლინო კომისიამ მატჩის ოფიციალურ პირთა გამოკითხვის შემდეგ, გამოარკვია, რომ ქუთაისის „აია“-ს მორაგბის, თემურ თუთბერიძის მხრიდან სრკ სადისციპლინო კოდექსით გათვალისწინებულ დისციპლინალურ გადაცდომას ადგილი არ ჰქონის.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/